

„ახალმეტყველება“ ჯორჯ ორუელის რომანში - „1984“ - და მის ქართულ
თარგმანებში

ანა გოგილაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა, გოგილაშვილი

20.06.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ჯორჯ ორუელის რომანში „1984“ და მის ორ ქართულ თარგმანში Newspeak-ის („ახალმეტყველება“/„ენახალი“) ერთეულების შედარებითი ანალიზი. მასში განხილულია Newspeak-ის იდეოლოგიური განზომილების და ხელოვნურობის ეფექტის სამიზნე ენაზე შენარჩუნების მიზნით მთარგმნელების მიერ გამოყენებული სტრატეგიები. გაანალიზებულია „ახალმეტყველების“/„ენახალის“ 47 ლექსიკური ერთეული. ამასთან, გამოყოფილია Newspeak-ის ელემენტების გრამატიკული სიტყვათწარმოების მოდელები და ქართულ თარგმანებში შესაბამისი ერთეულების ფორმები.

კვლევაში წყარო და სამიზნე ერთეულების შედარებისას გამოყენებულია ვინესა და დარბელნეს თეორიული მოდელი, რომელიც აერთიანებს პირდაპირი და ირიბი თარგმანის სტრატეგიებსა და მათ ფარგლებში გამოყოფილ ხერხებს. ამასთან, საანალიზო ერთეულები კლასიფიცირებულია ნიუმარკის პოლიტიკური დისკურსის მახასიათებლების შესაბამისად.

ემპირიული მასალის ანალიზით დადგინდა, რომ „ახალმეტყველება“/„ენახალი“ მოიცავს ნეოლოგიზმებს, რომელთა შორის არის კომპოზიტები და დერივატები. მთარგმნელები (დავით აკრიანი, ლალი ყუშიტაშვილი) ძირითადად პირდაპირი თარგმანის ერთ-ერთ ხერხს, კერძოდ, კალკირებას იყენებენ, ზოგიერთ შემთხვევაში გამოყენებულია ირიბი თარგმანიც. ამ მთარგმნელობითი ხერხებით, საბოლოოდ, ქართულ ტექსტებში მეტწილად ნარჩუნდება Newspeak-ის იდეოლოგიურად მარკირებული ფორმები.

საკვანძო სიტყვები: იდეოლოგია, ტოტალიტარიზმი, პირდაპირი თარგმანი, ირიბი თარგმანი, კალკირება

“Newspeak” in George Orwell’s Novel – “1984” and Its Georgian Translations

Abstract

The thesis offers a comparative analysis of the two Georgian translations of Newspeak in George Orwell’s “1984”. The research aims to shed light on how the ideological dimension and the effect of artificiality of Newspeak is sustained in the target language. For this reason, 47 lexical units of Newspeak have been analyzed. Apart from that, models of grammatical word formation of source and target units are addressed to determine the extent to which the ideological dimension of specific word formation can be retained in the target texts given the grammatical differences between the two languages.

Methodologically, the research employs the model of Vinay and Darbelnet’s translation theory (direct vs. oblique translation and respective procedures). Newmark’s typology of political discourse markers was also used to classify elements of Newspeak analyzed in the thesis.

The analysis has revealed that Newspeak is characterized by neologisms, among which are composites and derivatives. The study concludes that translators, David Akriani and Lali Kushitashvili, mainly use a direct translation strategy and calques, in particular. However, in some cases they are more inclined toward oblique translation strategy. In general, both translations retain ideological dimension by reproducing Newspeak in the target language.

Key words: ideology, totalitarianism, direct translation, oblique translation, calque